



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი

22/04/2024



MES 2 24 0000455250

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup> - ე მუხლის პირველი პუნქტის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ

შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის „მეტწილად შესაბამისობა“ განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.6. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> - ე მუხლის მე-7<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 03 ნოემბრის №1726-CU-02 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1494210, 06.11.2023 ) წარმოდგენილია შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის " საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 14 ნოემბრის № 1549660 ბრძანების საფუძველზე, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 29 დეკემბრის №1783835 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის " საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 12 თებერვალს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის " საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<b>x</b>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<b>x</b>			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<b>x</b>			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<b>x</b>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<b>x</b>			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 05 აპრილს.

2.4 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და 4.4 კომპონენტი ნაცვლად მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, შეაფასა როგორც ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან. შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი, ნაცვლად შესაბამისია მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.

აღნიშნული გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში და საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის საჭიროებები. რომლის მიხედვით, „პროგრამა ასევე მოიცავს პრაქტიკულ ლაბორატორიულ დავალებებს, რომელიც სტუდენტებს აძლევს კარგ შესაძლებლობას თეორიული ცოდნა შეავსონ საჭირო ექსპერიმენტებითა და ლაბორატორიული აქტივობებით, განავითარონ პრაქტიკული საინჟინრო შესაძლებლობები, რაზეც დიდი მოთხოვნაა ენერგეტიკის სექტორში დამსაქმებლებს შორის. პროგრამის მიხედვით, სწავლის შედეგების მისაღწევად საჭიროა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი ხუთი ძირითადი ლაბორატორიის არსებობა:

1. ელექტრული მანქანების ლაბორატორია
2. ელექტრული სისტემების მოდელირებისა და სიმულაციის ლაბორატორია
3. ქარისა და მზის ენერჯის ლაბორატორია
4. ენერჯის ხარისხის ლაბორატორია
5. ელექტრონიკის ლაბორატორია“.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში მოცემულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს საინჟინრო ლაბორატორიები, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ლაბორატორიები არ არის სათანადოდ აღჭურვილი. უნივერსიტეტს არ აქვს ენერგოსისტემებთან და ენერგეტიკულ ელექტრონიკასთან დაკავშირებული ლაბორატორიები. არსებული ლაბორატორიები აღჭურვილია მხოლოდ კომპიუტერებით და რამდენიმე მოწყობილობით, როგორცაა - ელექტროენერჯის ჩვეულებრივი წყაროები და

მულტიმეტრები. არ არსებობს ლაბორატორიული სამუშაოს აღწერილობა, რომელიც შეიძლება სტუდენტებმა შეასრულონ.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: ლაბორატორიული აღჭურვილობის ბაზა საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ელექტრო მანქანების ლაბორატორია და ქარისა და მზის ენერჯის ლაბორატორია.

ზეპირი მოსმენის დროს, განხილულ იქნა მათ შორის, ლაბორატორიული რესურსების მდგომარეობის და განვითარების საკითხები, რომლის ფარგლებშიც გამოიკეთა, რომ ენერგო სისტემებისა და ენერგეტიკული ელექტრონიკის ლაბორატორიების შექმნა დაწესებულების მიერ მოხდებოდა 2-3 წლის განმავლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ განიხილა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისობა აკრედიტაციის დებულებით დადგენილი შეფასების შკალის მიხედვით (აკრედიტაციის დებულების 26<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი) განსაზღვრულ დონესთან. რის საფუძველზეც, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აკრედიტაციის მე-4 სტანდარტის 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასებულიყო, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან“. რამაც გამოიწვია, რომ მე-4 სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

### 3. სარეზოლუციონაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup>- ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ

### გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლისა და 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 22 აპრილის №454498 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

## რეკომენდაციები

### კომპონენტი 1.5

სტუდენტების მიერ შესრულებული ლაბორატორიული სამუშაო მითითებული უნდა იყოს სილაბუსში.

### კომპონენტი 4.4

ლაბორატორიული აღჭურვილობის ბაზა საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ელექტრო მანქანების ლაბორატორია და ქარისა და მზის ენერჯის ლაბორატორია.

#### რჩევები:

- ყველა სასწავლო კურსი არის 5-6 ECTS კრედიტიანი. სამომავლოდ, სასურველია, რომ უფრო მნიშვნელოვანი სასწავლო კურსებისთვის (რომლებიც უკავშირდება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და მოიცავს სავარჯიშოებს ან/ და ლაბორატორიულ სამუშაოებს ან/ და საკურსო ნაშრომს) გამოიყოს 9 ECTS, ხოლო 3 ECTS საკმარისი იქნება ნაკლებად მნიშვნელოვანი კურსებისთვის (მაგალითად, თუ მოცემული კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მჭიდრო კავშირი არ არის).
- სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ ჩაატარეთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.) გამოკითხვები პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.
- მუდმივად განახლებით ტექნიკურ/ საინჟინრო სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა.
- უნივერსიტეტს ერაზმუსის ფარგლებში ფართო ურთიერთობა აქვს უცხოურ უნივერსიტეტებთან. ერაზმუსის თანამშრომლობა ასევე უნდა განვითარდეს ენერჯეტიკისა და ელექტროინჟინერიის სასწავლო პროგრამებისთვის.
- სასურველია, გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (ან ხელშეკრულებები) ენერჯეტიკის დარგის დაწესებულებებთან, რომლებსაც სურთ ამ კონკრეტული პროგრამის სტუდენტების მიღება.
- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტუდენტური თვითმმართველობის ცნობიერება.
- „აკადემიური წერის“ კურსის წარმართვისთვის აუცილებელია ენერჯეტიკისა და ელექტროინჟინერიის ტერმინოლოგიის და მისი შესატყვისი ინგლისური ტექნიკური ტერმინოლოგიის მცოდნე ლექტორი.
- აკადემიურმა პერსონალმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამეცნიერო პუბლიკაციებს. მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიური პერსონალმა ნაშრომები გამოაქვეყნონ ისეთ კვლევით ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში.
- სასურველია, გაფართოვდეს სტუდენტების/ კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

5. დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 05 აპრილს.

6. მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვროს 1 წელი და 6 თვე - 2025 წლის 05 ოქტომბრამდე.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს წევრი  
დურული ციური



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
თუთბერიძე გოჩა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია Energy and Electrical Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში Bachelor of Engineering in Energy and Electrical Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0713 ელექტრობა და ენერჯია Electricity and Energy
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის #1, თბილისი, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2024 წლის 05 აპრილი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვრა 1 წელი და 6 თვე, 2025 წლის 5 ოქტომბრამდე
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2026